როგორ შევადგინოთ
ტესტური პროექტი

ავტორი თამთა დოლიძე

ტესტირება – ეს სიტყვა განათლების სამყაროში გამოცდის სინონიმად იქცა. არადა, იგი შეფასების სისტემის მხოლოდ ერთ-ერთი ინსტრუმენტია. ტესტირების მეთოდს ასევე მიმართავენ პიროვნული თავისებურებებისა და ინტელექტის კოეფიციენტის შესამოწმებლად. აღსანიშნავია, რომ ეს ინსტრუმენტი ელექტრონულ სამყაროში მარტივად ადაპტირდა და შეფასების სისტემის ყველაზე პოპულარულ ბერკეტად იქცა.

არსებობს სტანდარტიზებული ტესტები, რომლებსაც პროფესიონალები ადგენენ. მათ მიერ შემუშავებული ინსტრუმენტების დახმარებით შეგიძლიათ მიღებული შედეგები დადგენილ ნორმას/სტანდარტს შეადაროთ. პედაგოგთა მიერ შედგენილი ტესტები კი აერთიანებს დავალებებს, რომელთა დახმარებითაც მოწმდება კონკრეტული ცოდნა/უნარები. თუმცა პედაგოგიური ტესტიც შეიძლება იყოს ნორმაზე ორიენტირებული, რაც ერთი მოსწავლის მონაცემების კლასის შედეგებთან შედარების საშუალებას მოგვცემს. კრიტერიუმებზე ორიენტირებული ტესტი კი ზომავს ინდივიდის მიერ სასწავლო კურსით გათვალისწინებული მასალის ათვისების დონეს.

სასწავლო პროცესში ძირიდადად გამოიყენება ჰომოგენური (ერთი საგნის დავალებებისგან შემდგარი) ტესტი, ჰეტეროგენური შეფასების ინსტრუმენტი კი მისაღები ან საკვალიფიკაციო გამოცდების ფორმატს უფრო მიესადაგება. რაც შეეხება ტესტირების სიხშირეს, იგი დამოკიდებულია სასწავლო მიზანსა და მასალის მოცულობაზე. მიმდინარე ტესტირება სწავლის პროცესში მოსწავლეთა ცოდნის/გაგების დონის შემოწმებას გაგვიადვილებს, შემაჯამებელი ტესტი კი დიდი მოცულობის მასალის ათვისების ხარისხის გაზომვას უზრუნველყოფს. ამას გარდა, ტესტები უნდა აკმაყოფილებდეს ვალიდურობასა და სანდოობასთან დაკავშირებულ კრიტერიუმებს. ეს ყველაფერი კი შემდგენელის მხრიდან დიდ ცოდნას, გამოცდილებას და დროს მოითხოვს.

ხშირ შემთხვევაში, პედაგოგები (მათ შორის მეც მოვიაზრები) ტესტებს პროექტის გაწერის გარეშე ადგენენ. ამის მიზეზი ბევრი რამ შეიძლება იყოს, მაგალითად: დროის სიმწირე, გამოუცდელობა/არცოდნა და სხვ. პირადად მე ტესტური პროექტის შესახებ უნივერსიტეტში მეორედ ჩაბარების შემდეგ შევიტყვე. იმ დროისათვის ჩემი პედაგოგიური გამოცდილება რამდენიმეწლიან სასწავლო გამოცდილებასა და პროფესიულ ალღოზე დაყრდნობით შედგენილ არაერთ ტესტს მოიცავდა. პირველი, რაც შეფასების და ტესტირების კურსზე შევიტყვე, ისაა, რომ მხოლოდ ტესტური დავალებების შედგენა არ კმარა და საჭიროა პროექტი, რომელიც თემებსა და მასთან დაკავშირებულ შეკითხვებს გააერთიანებს. ტესტის შექმნამდე უნდა განისაზღვროს სასწავლო მიზანი. შემდეგ გაიწეროს ტესტური პროექტი და დავალებები. დასრულებული ტესტის განხილვა-შეფასება კი მისი დახვეწისა და საბოლოო ვერსიის შექმნის საშუალებას მოგვცემს.

ტესტის შედგენასა და ტესტირების პროცესთან დაკავშირებული კიდევ არაერთი დეტალის გათვალისწინებაა საჭირო. ამისათვის გირჩევთ, გაეცნოთ საგანმანათლებლო რესურსს – „როგორ შევადგინოთ პედაგოგიური ტესტები“ (ავტორები: სიმონ ჯანაშია, ანასტასია ქიტიაშვილი, ნინო ლაბარტყავა, თამარ აბაშიძე და ლუიზა არუთინოვა; 2009 წლის გამოცემა; საქართველოს

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი). ნიმუშად კი ჩემ მიერ შედგენილ ერთ-ერთ ტესტურ პროექტს წარმოგიდგენთ.

საგანი : ქართული ენა და ლიტერატურა

კლასი: V

სემესტრი: I

თემა: ნაცვალსახელები

კოგნიკური მიზანი: მოსწავლეები 3 თვის შემდეგ დამოუკიდებლად შეძლებენ ნაცვალსახელთა შემდეგი ჯგუფების – პირის, კუთვნილებითი და ჩვენებითი ნაცვალსახელების ჩამონათვალთა რიგში ამოცნობას, მათ კლასიფიკაციას ჯგუფების მიხედვით და დანიშნულებისამებრ გამოყენებას; ჩვენებითი ნაცვალსახელებისთვის მართებული ბრუნვის ფორმების მისადაგებას/ბრუნებას; ჩვენებითი და კუთვნილებითი ნაცვალსახელების არსებით სახელთან ერთად ბრუნებას ფუძისა და ბრუნვის ნიშნების გამოყოფით.

მიზანი მიღწეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლეები დამოუკიდებლად შეძლებენ მითითებული ნაცვალსახელთა ჯგუფების ამოცნობას; წინადადებებში კონტექსტის შესაბამისი ნაცვალსახელების ჩასმას, ნაცვალსახელების პოვნას და შესაბამისი ჯგუფისთვის მიკუთვნებას; ნაცვალსახელთა ბრუნებას ცალკე ან არსებით სახელთან ერთად, ფუძისა და ბრუნვის ნიშნის სწორად გამოყოფას.

შინაარსი: პირის ნაცვალსახელები, კუთვნილებითი ნაცვალსახელები, ჩვენებითი ნაცვალსახელები, ნაცვალსახელების ბრუნება, ნაცვალსახელისა და არსებითი სახელის ერთად ბრუნება

კატეგორიები: ტესტით იზომება ცოდნის, გაგების, გამოყენების და ანალიზის დონე

ტესტური დავალებების რაოდენობა: 30

ტესტური დავალების შესრულებისთვის საჭირო დრო: 45წთ.

ასაკობრივი ჯგუფი: სკოლის მოსწავლეები, მეხუთე კლასი

#ტესტური პროექტის გეგმა

საკითხები	ცოდნა	გაგება	გამოყენება	ანალიზი	სინთეზი	შეფასება	სულ
ნაცვალსახელთა ჯგუფები	3 მრავალი არჩევითი პასუხის ტიპის დავალება 2 წთ.	2 მრავალი არჩევითი პასუხის ტიპის დავალება 2 წთ.	12 წინადადებაში ცარიელი ადგილების შევსება 12 წთ.	4 ღია ტიპის დავალება 8 წთ.			21 (70%) 24 წთ.
ჩვენებითი ნაცვალსახელების ბრუნება			3 ღია ტიპის დავალება 6 წთ.				3 (10%) 6 წთ.
ჩვენებითი და კუთვნილებითი ნაცვალსახელების ბრუნება არსებით სახელთან ერთად				6 ღია ტიპის დავალება 15 წთ.			6 (20%) 15 წთ.
სულ	3 (10%) 2 წთ.	2 (7%) 2 წთ.	15 (50%) 18 წთ.	10 (33%) 23 წთ.			30 100% 45 წთ.

ტესტი N1

მოსწავლის სახელი და გვარი _____

თარიღი _____

ტესტური დავალებების რაოდენობა – 30

დრო – 45წთ.

ტესტი შედგება სხვადასხვა ტიპის დახურული და ღია ტესტურ დავალებებისგან. ყველა დავალებას აქვს ინსტრუქცია. გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ თითოეულ მათგანს. ტექსტში პასუხები უნდა დააფიქსიროთ გარკვევით. პასუხების გადაწერის ან კარნახის შემთხვევაში თქვენი ტესტი არ გასწორდება. თუ შეკითხვა გექნებათ, ხელის აწევით მომმართეთ. ტესტის დასრულების შემთხვევაში შეგიძლიათ ნამუშევარი დროზე ადრე ჩამაბაროთ, მაგრამ დროის ამოწურვის შემდეგ კალმებს დებთ მერხზე და წყვეტთ მუშაობას. თქვენი ნამუშევარი ფასდება წერილობითი განმავითარებელი კომენტარით.

გისურვებთ წარმატებას!

1. **შემოხაზეთ მეორე პირის ნაცვალსახელების წყვილი:**

ა) მე, ისინი

ბ) შენ, ჩვენ

გ) შენ, თქვენ

დ) ის, ჩვენ

2. **შემოხაზეთ პირველი პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელების წყვილი:**

ა) მისი, მათი,

ბ) შენი, თქვენი

გ) ჩემი, თქვენი

დ) ჩემი, ჩვენი

3. **შემოხაზეთ ჩვენებითი ნაცვალსახელების წყვილი:**

ა) ის-მან

ბ) ის-ისინი

გ) ის-იმ

დ) ის-მისი

4. **შემოხაზეთ წინადადება, რომელშიც სიტყვა „ის“ ჩვენებითი ნაცვალსახელია:**

ა) ის ბიჭი ჩემი კლასელია.

ბ) ის გუშინ უნდა წასულიყო.

გ) ის არ გამოჩენილა.

დ) ის კარგად გამოიყურება.

5. **5. შემოხაზეთ წინადადება, რომელშიც არასწორადაა გამოყენებული კუთვნილებითი ნაცვალსახელი:**

ა) მეფემ თავისი შვილები სახელგანთქმულ ძიძას მიაბარა.

ბ) მეფეები თავის შვილებს ერისთავებს აზრდევინებდნენ.

გ) ჩვენს ბალს წელს არ მოუსხამს და უნდა მოვჭრა.

დ) იმისი სახლი პატარა სოფლის ბოლოში ეულად იდგა.

6. **ჩასვით წინადადებებში პირის ნაცვალსახელები.**

ა) ..... მირჩევნია სალი კლდე თოვლიან-ყინულიანი!

ბ) ლეკვი ჭიშკართან ..... ელოდებოდა.

გ) ვხედავდი, რომ ..... ნელ-ნელა იღუშებოდა.

დ) ..... ისევ გეეჭვებათ, რომ ჩემს სიტყვას შევასრულებ?!

7. **ჩასვით წინადადებებში ჩვენებითი ნაცვალსახელები შესაბამის ბრუნვაში:**

ა) (ეს) ..... სანუგეშო ცვლილებამ დედას ნუგეში მისცა.

ბ) ძლიერ დამაღონა (ეგ) ..... ამბავმა.

გ) რას ჰგავს (ის) ..... კაცის საქციელი?

ე) (ეგ) ..... ფასად უკეთეს ფეხსაცმელს შეიძენდი.

8. **ჩასვით წინადადებებში კუთვნილებითი ნაცვალსახელები სწორი ფორმით:**

ა) იგი განთქმული იყო მთელ კახეთში ..... (მისი, თავისი, იმისი, თავიანთი) სიმდიდრითა და პურადობით.

ბ) ქეთო ხშირად იჯდა ხოლმე ..... (მის,იმის,თავის, თავიანთ) გამდელთან.

გ) მამა საშინლად იტანჯებოდა ..... (თავისი, მისი,მათი, თავიანთი) ქალის მდგომარეობით.

დ) კოწოწაშვილები ჯერ ..... (თავის,მათ, თავიანთ, მის) წიწაკებს დახედავენ, მერე ერთმანეთს გაუღიმებენ.

9. **ამოიწერეთ წინადადებებიდან ნაცვალსახელები და დააკონკრეტეთ, რომელ ჯგუფს მიეკუთვნებიან:**

ა) კატომ თავისი წიგნები კარადაში შეინახა. .....

ბ) დიდი ხნის წინ იმ სახლში ვცხოვრობდი. .....

გ) მაგ წიგნში ასეთი რა წერია, თვალს რომ ვერ აცილებ? .....

დ) შენ თუ ასე გაბრაზდებოდი, ვერ წარმომედგინა! .....

10. **აბრუნეთ ჩვენებითი ნაცვალსახელები:**

სახ. ეს ეგ ის

მოთ ....

მიც. ....

ნათ. ....

მოქ. ....

ვით. ....

წოდ. ....

11. **აბრუნეთ სიტყვათა წყვილები, გამოყავით ბრუნვის ნიშნები :**

სახ. <u>ეს წიგნ-ი</u> <u>ეგ ფოთოლ-ი</u> <u>ის მანქანა</u>

მოთ. ……. ……. …….

მიც. ……. ……. …….

ნათ. ……. ……. …….

მოქ. ……. ……. …….

ვით. ……. ……. ……. …….

წოდ. ……. ……. …….

12. **აბრუნეთ სიტყვათა წყვილები, გამოყავით ბრუნვის ნიშნები:**
სახ. <u>ჩემ – ი მეგობარ-ი</u> <u>თქვენ-ი მეზობლებ-ი</u> <u>მათ-ი სტუმარ-ი</u>

მოთ. …… …… ……

მიც. …… …… ……

ნათ. …… …… ……

მოქ. …… …… ……

ვით. …… …… ……

წოდ. …… …… ……

#ტესტის გასაღები:

1	გ	10	**სახ.**	**ეს**	**ეგ**	**ის**	11	**ეს წიგნ-ი**	**ეგ ფოთოლ-ი**	**ეს მანქანა**
2	დ		**მოთხ.**	ამან	მაგან	იმან		ამ წიგნ-მა	მაგ ფოთოლ-მა	იმ მანქანა-მ
3	გ		**მიც.**	ამას	მაგას	იმას		ამ წიგნ-ს	მაგ ფოთოლ-ს	იმ მანქანა-ს
4	ა		**წათ.**	ამის	მაგის	იმის		ამ წიგნ-ის	მაგ ფოთლ-ის	იმ მანქან-ის
5	გ		**მოქმ.**	ამით	მაგით	იმით		ამ წიგნ-ით	მაგ ფოთლ-ით	იმ მანქან-ით
6	**ა)** მე; **ბ)** მას; **გ)**ის; **დ)** თქვენ		**ვით**	ამად	მაგად	იმად		ამ წიგნ-ად	მაგ ფოთლ-ად	იმ მანქან-ად
7	**ა)** ამ; **ბ)** მაგ; **გ)** იმ; **დ)** მაგ		**წოდ.**	-------	-------	-------		---- წიგნ-ო	---- ფოთოლ-ო	---- მანქანავ
8	**ა)** თავისი; **ბ)** თავის; **გ)** თავისი; **დ)** თავიანთ									
9	**ა)** თავისი- კუთვნილებითი წაცვალსახელი **ბ)** იმ - ჩვენებითი წაცვალსახელი **გ)** მაგ - ჩვენებითი წაცვალსახელი **დ)** შენ - პირის წაცვალსახელი	12	**სახ.**	ჩემ-ი მეგობარი				თქვენ-ი მეზობლებ-ი		მათ-ი სტუმარ-ი
			მოთხ	ჩემ-მა მეგობარ-მა				თქვენ-მა მეზობლებ-მა		მათ-მა სტუმარ-მა
			მიც.	ჩემ-ს მეგობარ-ს				თქვენ-ს მეზობლებ-ს		მათ-ს სტუმარ-ს
			წათ.	ჩემ-ი მეგობრ-ის				თქვენ-ი მეზობლებ-ის		მათ-ი სტუმრ-ის
			მოქმ.	ჩემ-ი მეგობრ-ით				თქვენ-ი მეზობლებ-ით		მათ-ი სტუმრ-ით
			ვით	ჩემ-ს მეგობრ-ად				თქვენ-ს მეზობლებ-ად		მათ-ს სტუმრ-ად
			წოდ.	ჩემ-ო მეგობარო				------- მეზობლებ-ო		------- სტუმარ-ო